სადაზღვევო საქმის საფუძვლები.

II სემესტრი 2020-2021 წელი

(შუასემესტრული გამოცდის ნიმუში)

Question 1

სადაზღვევო გარიგებაში მონაწილეობენ:

Select one:

a. ანდერრაიტერი; დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი.

b. დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი; აქტუარები;

c. სიურვეიერი; დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი;

d. დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი; მოსარგებლე;

Question 2

რისკების არასასურველი და ნეგატიური ხასიათის გამო დაზღვეული ვალდებულია განახორციელოს რისკების მართვასთან დაკავშირებული ქმედებები, როგორიცაა

Select one:

a. რისკების შემცირება და თავიდან აცილება; საინვესტიციო საქმიანობა.

b. რისკების შემცირება და თავიდან აცილება; რისკების დაზღვევა და თვითდაზღვევა;

c. რისკების დივერსიფიკაცია; რისკების დაზღვევა და თვითდაზღვევა;

d. რისკების შემცირება და თავიდან აცილება; რისკების დივერსიფიკაცია;

Question 3

სადაზღვევო პრაქტიკაში განასხვავებენ დაზღვევის შემდეგ დარგებს (სახეობებს)

Select one:

a. ქონების დაზღვევა; ჯანმრთელობის დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა;

b. ტვირთების დაზღვევა; პირადი დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა;

c. ქონების დაზღვევა; პირადი დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა.

d. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა; პირადი დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა;

Question 4

სადაზღვევო სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოებია:

Select one:

a. აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო; გენერალური დირექტორი;

b. აქციონერთა საერთო კრება; გენერალური დირექტორი; გამგეობა (დირექტორატი).

c. აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო; გამგეობა (დირექტორატი);

d. აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო; ფინანსური დირექტორი;

Question 5

დაგროვებითი დაზღვევა ფიქსირებული თარიღისათვის - მიეკუთვნება

Select one:

a. პასუხისმგებლობის დაზღვევას;

b. პირად დაზღვევას;

c. ეკონომიკური რისკების დაზღვევას.

d. ქონების დაზღვევას;

Question 6

სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება ანაზღაურდება

Select one:

a. მისი ღირებულების მიხედვით;

b. რემონტს გამოკლებული ახალი დეტალების ღირებულება;

c. რემონტს დამატებული ცვეთის ხარჯები.

d. რემონტს დამატებული ახალი დეტალების ღირებულება;

Question 7

პასუხისმგებლობის დაზღვევაში სადაზღვევო გადახდა წარმოებს მხოლოდ წინასწარ დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში და მას ეწოდება

Select one:

a. დაზღვეულის პასუხისმგებლობის ლიმიტი;

b. დამზღვევის პასუხისმგებლობის ლიმიტი;

c. მოსარგებლის პასუხისმგებლობის ლიმიტი.

d. გადამზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი;

Question 8

წილობრივი (ქვოტური) გადაზღვევა გულისხმობს

Select one:

a. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს პრემიასა და ზარალში მონაწილეობის განსხვავებული წილი;

b. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს სადაზღვევო თანხასა და ზარალში მონაწილეობის ერთი და იგივე წილი;

c. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს პრემიასა და ზარალში მონაწილეობის ერთი და იგივე წილი;

d. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს სადაზღვევო თანხასა და ზარალში მონაწილეობის განსხვავებული წილი.